

ლიზობაქტი®

Lysobact®

ინფორმაცია პაციენტებისათვის

ლიზობაქტი® 20მგ/10მგ დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები

ლიზოციმის ჰიდროქლორიდი, პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი

ყურადღებით გაეცანით ფურცელ-ჩანართს, რადგან მასში მოცემულია თქვენთვის საჭირო ინფორმაცია!

მედიკამენტი გაიცემა ურეცეპტოდ. სასურველი შედეგის მისაღებად უნდა გაითვალისწინოთ ფურცელ-ჩანართში მოცემული ინფორმაცია.

შენახეთ ფურცელი-ჩანართი, შესაძლოა კვლავ დაგჭირდეთ.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ფურცელ-ჩანართში იხილავთ:

1. რა არის ლიზობაქტი® და რისთვის გამოიყენება
2. ლიზობაქტის® გამოყენებამდე
3. ლიზობაქტის® გამოყენების წესები
4. მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები
5. ლიზობაქტის® შენახვის პირობები
6. დამატებითი ინფორმაცია

1. რა არის ლიზობაქტი® და რისთვის გამოიყენება

ლიზობაქტი® შეიცავს ორ აქტიურ ინგრედიენტს, კერძოდ ლიზოციმს და პირიდოქსინს. იგი მიეკუთვნება პრეპარატების ჯგუფს, რომლებიც მოქმედებენ სასუნთქ სისტემაზე - ანტისეპტიკური საშუალება ადგილობრივი გამოყენებისათვის. ეს პრეპარატი გამოიყენება ყელის მცირე ტკივილის სამკურნალოდ, როდესაც არ აღინიშნება ტემპერატურა, ასევე პირის ღრუს წყლულების და პატარა ჭრილობების დროს მოზრდილებსა და 6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებში.

2. ლიზობაქტის® გამოყენებამდე

აცნობეთ ექიმს თუ ღებულობთ სხვა პრეპარატებს, გაქვთ ქრონიკული დაავადება, დარღვევები მეტაბოლიზმის მხრივ, ჰიპერმგრძობიარე ხართ პრეპარატების მიმართ ან გქონიათ ალერგიული რეაქციები ზოგიერთი მათგანის მიმართ.

არ მიიღეთ ლიზობაქტი®

- თუ ბავშვი 6 წლამდე ასაკის არის
- თუ გაქვთ ჰიპერმგრძობელობა ლიზოციმის ქლორიდის ან პირიდოქსინის ქლორიდის ან რომელიმე სხვა ინგრედიენტის მიმართ.

განსაკუთრებული სიფრთხილით მიიღეთ ლიზობაქტი®

პირიდოქსინის (B6 ვიტამინი) მაღალი დოზების ხანგრძლივად (რამდენიმე თვე ან წელიც კი) მიღებისას მოსალოდნელია ჩხვლეტის შეგრძნება, წონასწორობის დარღვევა, ხელების და ფეხების კანკალი, ასევე მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, რაც ჩვეულებრივ ქრება პრეპარატის შეწყვეტის შემდეგ.

პრეპარატი არ მიიღება 5 დღეზე მეტი პერიოდით, ვინაიდან შესაძლოა გამოიწვიოს პირის ღრუს მიკროფლორის ბალანსის დარღვევა, რაც ზრდის ბაქტერიული ან სოკოვანი ინფექციის გავრცელების რისკს.

პირის ღრუს და ხორხის ლორწოვანი გარსის დაავადება

სხვა სიმპტომების (ტემპერატურა, ჩირქიანი ნახველი, ყლაპვის გაძნელება) გამოვლენის, მათი გამწვავების შემთხვევაში ან თუ ეფექტი არ აღინიშნება 5 დღიანი მკურნალობის შემდეგ კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს.

გამონაყარი ლორწოვან გარსზე

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს თუ გამონაყარი ვრცელდება, ხანგრძლივად ნარჩუნდება ან აღინიშნება მაღალი ტემპერატურა.

ლიზობაქტის® მიღება სხვა პრეპარატებთან

აცნობეთ ექიმს თუ ღებულობთ ან ბოლო პერიოდში მივიღიათ სხვა, მათ შორის ურეცეპტოდ შეძენილი მედიკამენტები. ეს ეხება მცენარეულ პრეპარატებსაც. ლიზობაქტიმ® შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა პრეპარატების ეფექტზე და პირიქით სხვა პრეპარატებმა შესაძლოა იმოქმედონ ლიზობაქტის® ეფექტზე.

დაუშვებელია ერთდროულად რამდენიმე ანტისეპტიკური საშუალების მიღება.

ეს პრეპარატი შეიცავს ლიზოციმის ჰიდროქლორიდს და პირიდოქსინის ჰიდროქლორიდს, რასაც შეიცავენ სხვა პრეპარატებიც. დაუშვებელია მათი ერთობლივად მიღება, რათა არ გადააჭარბოთ მაქსიმალურ რეკომენდირებულ დოზას.

ლიზობაქტის® მიღება საკვებთან და სასმელთან ერთად

საკვები და სასმელი გავლენას არ ახდენს ლიზობაქტის® დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტების ეფექტზე.

ორსულობა და ლაქტაცია

ნებისმიერი პრეპარატის მიღებამდე კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

უსაფრთხოების მიზნით პრეპარატის მიღება ორსულობის პერიოდში არ არის რეკომენდირებული.

პრეპარატის მიღება არ არის რეკომენდირებული ძუძუთი კვების პერიოდში, ვინაიდან არ არსებობს სათანადო მონაცემები იმის შესახებ ხვდება თუ არა ლიზოციმი და პირიდოქსინის დედის რძეში.

ტრანსპორტის მართვა და მექანიზმების გამოყენება

ლიზობაქტის® დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები გავლენას არ ახდენს ტრანსპორტის მართვის და მექანიზმების გამოყენების უნარზე.

სხვა გაფრთხილებები

ლიზობაქტის® დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები შეიცავს ლაქტოზას. შესაბამისად ლიზობაქტის® მიღებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან თუ იცით, რომ ვერ იტანთ შაქრის გარკვეულ ტიპებს.

3. ლიზობაქტის® გამოყენების წესები

პრეპარატი მიიღება ფურცელ-ჩანართში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით.

თუ ფიქრობთ, რომ პრეპარატის ეფექტი ზედმეტად ძლიერი ან სუსტია მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

დოზა

მიიღება მხოლოდ მოზრდილებსა და 6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებში.

მიიღება 6-8 დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტი თანაბარი ინტერვალებით დღის განმავლობაში.

მიღების წესი

პერორალურად.

დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები ნელ-ნელა უნდა გაიხსნას ენის ქვეშ.

პრეპარატის მიღების სიხშირე

დოზებს შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ მცირე 1 საათი.

მკურნალობის ხანგრძლივობა

მკურნალობა შემოიფარგლება 5 დღით. მიმართეთ ექიმს თუ სიმპტომების გაუმჯობესება არ შეინიშნება 5 დღის შემდეგ.

თუ მიიღეთ ლიზობაქტის® საჭიროზე მეტი დოზა

დოზის გადაჭარბების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს!

პრეპარატის მაღალი დოზების ხანგრძლივად (რამდენიმე თვე ან წელიც კი) მიღებისას მოსალოდნელია პერიფერიული ნევროპათია (ჩხვლეტის შეგრძნება, ხელების და ფეხების კანკალი, კუნთების სისუსტე), რაც ჩვეულებრივ ქრება მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ.

ჭარბი დოზის მიღებისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, რათა მან გაგიწიოთ სამედიცინო დახმარება.

თუ დაგავიწყდათ ლიზობაქტის® მიღება

დოზის გამოტოვების შემთხვევაში დაუშვებელია ორმაგი დოზის მიღება, მკურნალობა უნდა გაგრძელდეს ჩვეული რეჟიმით.

თუ გამოგრჩათ ლიზობაქტის® დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტების დოზა, მიიღეთ იგი გასხენებისთანავე. ამის შემდეგ განაგრძეთ მკურნალობა ჩვეული რეჟიმით. დაუშვებელია ორმაგი დოზის მიღება გამოტოვებული დოზის ანაზღაურების მიზნით.

თუ შეწყვიტავთ ლიზობაქტის® მიღებას

პრეპარატის უეცრად შეწყვეტისას არასასურველი ეფექტები მოსალოდნელი არ არის.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები

სხვა პრეპარატების მსგავსად ლიზობაქტმაც® შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები ზოგიერთ პაციენტში.

მოსალოდნელია შემდეგი ალერგიული რეაქციები:

- გამონაყარი კანზე, ძლიერი ქავილი, მომატებული მგრძნობელობა მზის მიმართ (ფოტომგრძნობელობა)
- მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილაქსიური შოკი), სახის და კისრის უეცარი შეშუპება (კვინკეს შეშუპება).

თუ რომელიმე გვერდითი ეფექტი გართულდება ან შენიშნავთ ისეთ გვერდით მოვლენას, რომელიც არ არის მოცემული აღნიშნულ ფურცელ-ჩანართში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

5. ლიზობაქტის® შენახვის პირობები

ლიზობაქტი® შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ინახება არაუმეტეს 30°C ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა: 5 წელი

ლიზობაქტის® დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები არ გამოიყენება შეფუთვაზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ.

6. დამატებითი ინფორმაცია

რას შეიცავს ლიზობაქტი®?

თითო ტაბლეტი შეიცავს: ლიზოციმის ჰიდროქლორიდი 20.00 მგ და პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი 10.00 მგ.

შემავსებლები: ლაქტოზას მონოჰიდრატი, ტრაგაკანტი, ნატრიუმის საქარინი, მაგნიუმის სტეარატი, ვანილინი.

როგორია ლიზობაქტი® ვიზუალურად და რას შეიცავს შეფუთვა

მრგვალი თეთრი ან მოკრემისფრო, დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტები გლუვი ზედაპირით გამყოფი ხაზით ერთ მხარეზე, დიამეტრი 8 მმ.

კოლოფში მოთავსებულია 10 დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტი (1 ბლისტერი 10 ტაბლეტით) და 30 დაწნეხილი საწუწნი ტაბლეტი (3 ბლისტერი 10 ტაბლეტით).

საგაჭრო ლიცენზიის მფლობელი

Bosnalijek, Pharmaceutical and Chemical Industry, Joint Stock Company

სარაევო, იუკიჩევა 53, ბოსნია და ჰერცეგოვინა

მწარმოებელი

Bosnalijek, Pharmaceutical and Chemical Industry, Joint Stock Company

სარაევო, იუკიჩევა 53, ბოსნია და ჰერცეგოვინა

გაცემის პირობა

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

ფურცელი-ჩანართის განახლების თარიღი

2015 წლის თებერვალი